ტფილისი

№ 131
ივნისის 23, კვირა, 1902 წ.
1877

ივერია

№ 131
ივნისის 23, კვირა, 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ თიბათვიდგან წლის დამლევამდე გაზეთი

„ი ვ ე რ ი ა“

ღირს ექვს მანეთად და ათ შაურად (6 მ. 50 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში).

ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).

ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

გაზეთი „ივერია“

რომლის გამომცემელია დღეს თ. ი. გ. ჭავჭავაძე,

გადადის საკუთრებად **„ივერიის“** ამხანაგობის ხელში.

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაწაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქტორი გაბაშვილი, დიმიტრი გრიგოლის-ძე, ლოლობერიძე, ნიკოლოოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე, გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის-ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს-ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.

მოსკოვი 1893
ს.-პეტერბურგი 1870
ნ.-ნოვგოროდი 1897

სავაჭრო სახლ
დონნერისა და ლეიტცისა

ტფილისი, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა, ტელეფონი № 145.

ჟირარდის მანუფაქტურების სააქციონერო საზოგადოებისა.

საწყობში მუდამ ბლომად არის ამოსარჩევად

ტილოსი, ბამბისა და წინდა-ჩულქის საქონელი.

ავეჯის გადასაკვრელი მაუერიები, პორტიერები, ფარდები, ხალიჩები და იატაკის საფენები

საბნები მატყლისა და აბრეშუმისა.

საცვლები ქალისა და კაცისა

მზითევი.

მზადდება შეკვეთით საქონელი სახაზინო და კერძო დაწესებულებათათვის. დაწვრილებითი პრეის-კურანტი მსურველს უფასოდ გაეგზავნება. ჟირარდის მანუფაქტურის საქონელი პარიჟს 1990 წ. მსოფლიო გამოფენაზედ ღირს იქმნა უმაღლესის ჯილდოსი Grand Prix-ისა.

მოსკოვი 1882 წ.
ნოვგოროდი
1896 წ.

საწყობი ქაღალდისა
დიტიატკოვსკის ამხანაგობის

საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტფილისში

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი და საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, აგრეთვე ალბომის ქაღალდი ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

მაღაზია საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად.**

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის საკომერციო ბანკისა.

ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.

ტელეფონი № 66. (30—6.—1)

ღვთის-მოყვარულთა ქრისტეანეთა მიმართ

სოფელი ნაღვარევი, რომელიც მთიულეთშია, დარჩა უეკკლესიოდ, ხალხი-კი აქ მეტად ღარიბია და დავიწყებული ყველასაგან. 100 კომლამდე მცხოვრებელია, მაგრამ ორასი კომლიც რომ იყოს, რა მოახერხოს ასეთმა ბეჩავმა ღარიბ-ღატაკმა მთიულმა ხალხმა? იქამდე ღარიბნი და საწყალნი არიან, რომ წლითი-წლამდე მათი საზრდო მხოლოდ სიმინდი და ქერია, რომელსაც ყიდულობენ ქ. კავკავში 110 ვერსის მანძილზედ და ტანჯვა-ვაებით გადმოაქვთ თავიანთ სახლში.

ამიტომ განვიზრახე მოგროვება ფულისა და აგება ეკკლესიისა. ამ აზრით გამოვითხოვე წიგნი მათ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსისაგან, რომ შეწირულებითა და შეწევნითა ხალხისათა აღვაშენო ნაღვარევის სამრევლოში სახლი ღვთისა, წმ. გიორგის სახელობაზედ.

ვიმეორებ ამ თხოვნასა, ვხედავ და ვაწუხებ ყველა ღვთის მოყვარულ მართლ-მადიდებელ ქრისტეანეთა და ესთხოვ უმორჩილესად შემწეობა აღმოუჩინონ ამ წმიდა საქმესა.

ჩემი ადრესი:

Ст. Млеты. Воен.-Груз. дор., Т. губ. Сборщику доброхотныхъ пожертвованій на постройку новаго храма въ сел. Нагвареви, причетнику Алексѣю Арганашвили.

(10—უ.—3)

საკერავი მაშინები

ნამდვილი „ზინგერისა“

ძმ. რ. და მ. ედელსონისა და მ. კუპერმანის

სკლადში იყიდება სხვა-და-სხვა ფაბრიკების მაშინები ტფილისში, ნიკოლოოზის ხიდზე, №№ 7—8. ფასები გადაჭრილია. სკლადის განყოფილება იმყოფება: ბაქოში, ერევანში, ალექსანდროპოლში და მიხაილოვში. (3—365—1)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდის და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ **როინაშვილისეულ ფოტოგრაფიისთვის**, რომელიც ღირს-ქმნილია უმაღლეს იმპერატორებრივ ჯილდოსი, მოწვეულია ახალი გამგე. შეიძლება შეკვეთა ყოველგვარ ფოტოგრაფიულის სურათისა, რომელიც თავისს დროზე და გულმოდგინებით მზადდება. ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია, ხოლო მოსწავლეთათვის შეღავათიანი. ფოტოგრაფიას, რომელიც ყოველდღე ღია არის დილის 9 საათიდგან საღამოს 5 საათამდე, მრავლად მოეპოვება მუშტართათვის საქართველოსა და კავკასიის შესანიშნავის ადგილებისა, ტიპებისა, მოღვაწეთა და ძეგლთა სურათები. (10—7)

კავკასიის სამოსწავლო ოლქის ნებართვით 5 თიბათვიდგან 20 მარიამობისთვემდის გახსნილ იქმნება **დაბ. სურამში**

სარეპეტიციო და მოსამზადებელი კლასები

მასწავლებლად არიან მოწვეულნი სპეციალისტნი, მაღალ სასწავლებლებში კურს-დამთავრებულნი. ვამზადებთ აგრეთვე კავკავის კორპუსისათვის.

მმართველნი კლასებისა ალ. ივ. ნათაძე და პერ. მიხ. კორსანიძე.

(6—18)

ვ ე ქ ი ლ ი

ა. მ. ახნაზაროვი

გადავიდა

ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ე. საგინაშვილის სახლში, № 21, ბ-ნ მ. გედევანიშვილის სამკურნალოს გვერდით, „ივერია“-სეულს სადგომში.

ნახვა შეიძლება: დილის 8—10 საათამდე და საღამოს 7—9 საათამდე, კვირა დღეობით: მარტო დილით 9—12 საათამდე. (10—4)

ქართველ ქალთა

ამხანაგობა

სამკერვალოსა და სახელოსნო სკოლაში იღებს ყოველ-გვარ საკერავს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოსაჭრელ ნიშნებს (МЕТКИ). ბარონის ქუჩა № 12.

იყიდება ვერაზედ

სამ-სართულიანი სახლი, რომელსაც ბანკის ვალიცა აქვს.

ვერაზედვე, სათავად-აზნაურო სკოლის შენობის გვერდით, იყიდება მამული, დაყოფილი ნაჭრებად, თითოეული 100, 200 და 300 ოთხ-კუთხი საჟენი. პირობათა შეტყობა შეიძლება „ივერიის“ რედაქციაში.

(10—4).

ე ქ ი მ ი

ალექსანდრე გიორგის ძე

მალალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

კ. ი. გძელიშვილი. 5—6 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ნ. შაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არჯანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

ზ. ა. თარხანოვი. 7—7½ საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон.

(წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 271.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა, და ბავშვებისა სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათზე. კვირაობით 9—10 საათზე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

გრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

მ. ი. იანჩევსკი: ყურისა, ყელისა და ცხვირისა 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდის.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავდმყოფობათა. (წ.)

კნეინა ალექსანდრა მაკარის ასული მელიქიშვილისა, შვილებით, უგულითადეს მადლობას უხდიან ყველას, ვინც მათ თანაგრძნობა გამოუცხადა **თ-დ გიორგის ლევანის ძის მელიქიშვილის** გარდაცვალების გამო.

ტფილისი, ივნისის 23.

ამ დღეებში ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო ის სამწუხარო ამბავი, რომ სამი თათარი ბერდანის თოფებით შეიარაღებულნი, დასცემიან იორზედ ათთხუთმეტს ქართველ მთიბავს და შემდგომ ტანთსაცმელის გაძარცვისა და ცხენების თავიანთ შეკაზმულობით წაყვანისა, ეს ამოდენა ხალხი დედის-შობილად წინ გაუგდიათ და იქამდის უტარებიათ, მანამ მცარცველნი სამშვიდობოში გადასულან; ასე რომ 11 მაისიდამ 15-მდე არავინ არ იცოდა, სად დაიკარგნენ მთიბავები. ეს ამბავი ფრიად შესანიშნავია მით უმეტეს, რომ დღეს გლეხი და აზნაური, მდიდარი და ღარიბი დიდს ხარჯს ვაძლევთ ქურდებისა და ავაზაკებისაგან ჩვენის საცხოვრებლის დასაცველად. მართალია, ამ ხარჯით დიდი ძალი ჩაფრებია მთავრობისაგან დანიშნული, რომლებიც დღე და ღამ დაიარებიან გზაზედ, მთასა და და ბარში, მაგრამ, ჩვენ-და სამწუხაროდ, ეს ამოდენა ჩაფრები მაინც კიდევ ვერაფერს ჰშველიან ჩვენს მუშა ხალხს, რომელიც ოთხის თვის განმავლობაში სახლიდამ გასულია და დღესა და ღამეს მთასა და ბარში ათევს: ზოგი სთიბავს, ზოგი მკის, ზოგი ანეულსა ჰხნავს, ზოგი სიმინდსა თოხნის და რწყავს და ზოგი კიდევ ძნასა და თივას ეზიდება და საქონელს უვლის. მაისიდამ დაწყებული ენკენისთვემდე ჩვენი სოფლები სულ მთლად დაცარიელებულია; ვაჟკაცობა და ბიჭ-ბუჭობა სოფლიდამ სამუშაოდ გასულია. ირაჟრაჟებს თუ არა, მუშა თავის საქმეს დაადგება და სიცხე-პაპანაქებაში მძიმე ჯაფით მოქანცული, მოსვენებას მხოლოდ მაშინ მიეცემა, როდესაც კარგა დაღამდება.

ამ გვარ ტანჯვაში დაღამებულ დღის შემდეგ, ჩვენი გლეხი კაცი ღამის ტკბილს, უზრუნველ ძილსაც მოკლებულია, რადგანაც ყოველ წამს მოელის, რომ ავაზაკი თავს მეხად დაეცემა და ან მოჰკლავს, ან დედის-შობილას გაუშვებს. უწინ, როდესაც ჩვენს გლეხობას უფლება ჰქონდა ახალის თოფების (ბერ-

დან-პიბოდის) შეძენისა და მათის საშუალებით მტრის მოგერებისა, არც ერთს ავაზაკს არ შეეძლო ასე თამამად ჩვენის გლეხობის ცარცვა-გლეჯა, როგორც დღეს, როცა ჩვენს ხალხს მთავრობამ ეს უფლება ჩამოართვა. ეხლა-კი ერთი მურდალი, თოფ-იარაღში ჩამჯდარი თათარი ისე იბრიყვებს ათსა და ოცს ქართველს, როგორც ცხვრის ფარას. გარდა იმისა, რომ ჩვენს ღარიბს ხალხს თითქმის ყოველ დღე ეკარგება არა მცირე ნაწილი მისის საცხოვრებლისა, თვით ყოველ-დღიური ცარცვა-გლეჯა საშინლად აფუჭებს ჩვენის გლეხი-კაცის ვაჟკაცობას და, თუ ამ გვარი გარემოება დიდხანს გასტანს, ისეთი მხდალი თაობა დაიბადება, რომ გინდ თითო კაცს ორ-ორი თოფი მისცეთ, ვეღარც-კი მოიხმარებენ.

დროა ამ სამწუხარო გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მივაქციოთ და ჩვენს გლეხობას მოვაშოროთ დღევანდელი შემთხვევითი მხდალობა, რომელიც ბოლოს შეიძლება მის ხასიათად გარდაიქცეს.

ჩვენის აზრით, თავად-აზნაურობა' მოვალეა იშუამდგომლოს საცა საჭიროა, რომ ყოველს ჩვენს სოფლის საზოგადოებას საკმაო თოფები დაურიგდეს, რასაკვირველია, სოფლის ძმართველების იმ თავდებობით, რომ ეს თოფები სასოფლო საკუთრება იყოს და მათი შესყიდვა კერძო კაცს არ შეეძლოს.

დარწმუნებული ვართ, რომ ამ გვარი უფლება ბევრს ავაზაკობას ბოლოს მოუღებს და თვით მთავრობისაგან დაყენებულს ჩაფრებს დიდს შეღავათს მისცემს.

ტფილისი

✦ ტფილისში რამდენსამე ქართველს კაცს შეუდგენია ამხანაგობა, საურთიერო ნდობაზედ დამყარებული, სახელწოდებით „ტფილის-მცხეთა“. ამხანაგობას აზრად აქვს იყიდოს სახლები და ადგილები ტფილისსა და მცხეთაში, დაჰყოს ნაჭრებად და შეაძენინოს თავის ამხანაგებს. პაი ღირს 100 მან.

✦ გუშინ-წინ, 21 ივნისს, შუაღამისას, ქაშვეთის ეკლესიის მაღაზიებში ბანიდგან გაუთხრიათ ჭერი ალშვანგისა და ხუდავერდიანის მაღაზიებისა. ალშვანგის მაღაზიიდგან წაუღიათ 28 მანეთამდე წვრილი ფული, ხოლო ხუდავერდიანის მაღაზიიდგან ვერაფერი, რადგან კასაში იმ ჟამად ფული არ ყოფილა.

✦ გუშინ-წინ ღამ, რიყის ქუჩაზედ, ცეცხლი წაეკიდა პაპოვის მაღაზიას; დროზედ მოსწრებულმა ცეცხლის საქრობმა რაზმმა საჩქაროდ ჩააქრო ცეცხლი. ცეცხლის გაჩენის მიზეზი ჯერ გამოურკვეველია.

✦ სამკურნალო გამგეობას ხელ-ახლად მოუხდენია განკარგულება სამაზრო ექიმების მიმართ, რომ საქმეების გამო მოგზაურობის დროს ყოველ-გვარი შემწეობა აღმოუჩინონ ხოლმე გლეხებს, როცა ამას საჭიროება მოითხოვს. ამისათვის მათ თან უნდა ატარონ სახელდახელო ყუთით წამლები.

✦ გუმბრიდგან (ალექსანდროპოლიდგან) გვატყობინებენ, რომ იქ პატარა ჯგუფი შემდგარა ინტელიგენტთა, რომელთაც განუზრახავთ უფასო სკოლის დაარსება.

✦ როგორც გაზეთებიდგან შევიტყეთ, ბათუმში ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნები ნოემბრის შუა რიცხვებში მოხდება.

ალაგობრივის

ცხოვრების ამბები

ს. საგარეჯო. საგარეჯოში ქართველთათვის ოთხი შტატის ეკლესია არის აშენებული; მათ შორის წმ. სვიმონ მესვეტის ეკლესია, „დოდოს“ ეკლესიად წოდებული, დიდი ხანია უკანასკნელ მდგომარეობაში იმყოფება. თავიდან ბოლომდის შუაზედ არის გარღვეული და დღე-დღეზედ თავზედ ჩამონგრევას გვიპირებს. არავითარი მხატვრობა არ მოიპოვება შიგ. წმ. ტრაპეზი, ეს ღვთის განსაკუთრებული საბრძანებელი ადგილი, ხელის სისქე მტვრით არის სავსე; დანარჩენ ეკლესიის ნაწილებზედ რაღა უნდა ითქვას? მათშიაც უსუფთაობა დიდია. ეკლესიის კარ-მიდამოც ბაკად, ე. ი. ნახირის სადგომ ადგილად, არის გადაქცეული. არ მოეპოვება უბრალო ზღუდე, თუმცა-კი ადვილია მისი მოპოვება.

ეკლესია სოფლის ბოლოს არის აშენებული და ძეძვიც მის ახლო-მახლო ჩალის ფასად ბლომად არის. პატარა ბიჭები სოფლის ბოლოს საქონელს აძოვებენ ხოლმე; შუა-დღისას, სიცხის დროს, საქონელი წყლის დასალევინებლად სოფელში მოუდით, ეკლესიაც იქვე სოფლის ბოლოშია, გზის პირას და, რადგანაც მის ეზოში წყალიც ბლომად მოიპოვება და ჩრდილიც დიდრონ კაკლებს ქვეშ მშვენიერია, ბიჭები ზევით, შორს, აღარ მიერეკებიან საქონელს, იქვე ასმევენ წყალს და იქვე ასვენებენ. ახლა, წარმოიდგინეთ, თუ რა უსუფთაობა იქმნება ხსენებულ ეკლესიის ეზოში. საქონლისაგან დატოვებული ნიშნები უმთავრეს ეკლესიის კარების წინაც-კი ბლომად შევნიშნეთ; მიცვალებულთა საფლავები მთლად გადათელილია. რაც თავი შემისწავლია—მახსოვს, იმ ეკლესიის ეზოში ერთი პატარა ბზის ხე იდგა და ახლაც სდგას. საბრალო ხეს არ ეღირსა ერთი არშინის სიმაღლეზედ მაინც აღზრდილიყო: რა ტანისაც ყოფილა დარგვის დროს, დღესაც იმ ტანისავეა. ეტყობა, ეს ბეჩავი ხეც საქონლის მსხვერპლად გარდაქცეულა სამარადისოდ.

მართლმადიდებელ ეკლესიის წესით მშობიარე დედაკაცს, ამ ღვთის ხატებას, მომშობიარების დღიდგან ორმოც დღემდე, არა აქვს ნება ეკლესიაში შესვლისა, რადგანაც იგი ამ დრომდე უწმინდურად ითვლება. მეორმოცე დღეს მშობიარე ახლად დაბადებულ ყრმით, თუ იგი ცოცხალია, და თუ მკვდარია, მარტო თვითონ, მიდის ეკლესიაში და იქ, ეკლესიის პირველ ნაწილში, ეგრედ წოდებულ სტოვაში, ჩერდება. აქ მღვდელი წაუკითხავს დაწესებულს ლოცვებს, ასხურებს განწმენდილ წყალს და მხოლოდ ამ წესის შესრულების შემდეგ მშობიარე ყრმითურთ შედის ეკლესიის შუა ნაწილში, სადაც ყველა მორწმუნენი ღვთის სავედრებლად იკრიბებიან. ხსენებულ დოდოს ეკლესიის ეზოში-კი საქონელთან ერთად ვნახეთ ფურ-კამეჩი, რომელსაც მოემშობიარებინა ზაქი და იქვე ჰლოკავდა; პატრონიც, დედა-კაცი იყო იგი, იქ იდგა და თავს დასცქეროდა მათ სიხარულით. ვკითხოთ ერთი, მკითხველო, თუ-კი დედა-კაცნი, ეს ღვთის სახისანი, უწმინდურებათ ითვლებიან მშობიარობის დროს და ორმოცის დღის განმავლობაში ნება არა აქვთ ეკლესიაში და მის კარ-ეზოში მოსვლისა, ახლად მშობიარე პირუტყვ ცხოველს, ფურკამეჩს-კი ნება ჰქონდეს ამისი? თუ ასეა, მაშ კამეჩსა და მის მაგვარ ცხოველებს უფრო უდიდესი დანიშნულება ჰქონიათ ამ სოფლად, ვიდრე ადამიანთ. აი, ნიმუში ჩვენის ეკლესიების მდგომარეობისა! აი ნიმუში ჩვენის მღვდლების უმოქმედობისა! დროა, დრო, მღვდლებო, მივაქციოთ ჩვენს უნუგეშო ყოფას ყურადღება! სირცხვილია, მამა-პაპათა ანდერძის ღალატი! ასე არ გვშვენით სემინარიაში სწავლა-დამთავრებულთ, ღვთის-მეტყველებით გაბრძნობილთ,—არა!

ლაშვარიჯვრელი.

—

ქუთაისი. ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში 21 ივნისს დაიწყეს სამეურნეო კურსები სამინისტრო და სასოფლო სასწავლებლების მოსწავლეთათვის. მსმენელთ მოელიან ორმოც და ათამდე. იკითხავენ: ბოსტნის მოვლა-გაშენებაზედ და სამეურნეო საგნების სოფლის სასწავლებლებში სწავლებას მეთოდის შესახებ ნ. თ. მკურნალი, მებაღეობასა და მევენახეობაზედ ე. ა. ჩხატარაშვილი. სასურველია, თუ ამ კურსებს დაესწრებიან კერძო კაცნიც, რომელთათვისაც ეს საგნები რითიმეა საინტერესო.

—

ქუთაისიდგან გვატყობინებენ, რომ ამ დღეებში ვიღაც ბოროტ-განმზრახველნი შეპარულან სათ.-აზ. სკოლის მასწავლებლის მ. ო. ჩინჩალაძის სახლში და გაუქურდავთ. ბ-ნმა ჩინჩალაძემ წინა კვირაში საად.-მამ. ბანკიდგან მიიღო ჯილდოთ 350 მანეთი. ქურდებს ამ ფულის გარდა წაუღიათ კიდევ 500 მან. ფულად და რამდენიმე ძვირფასი ნივთი. ბოროტ-მოქმედნი ჯერ ვერ აღმოუჩენიათ, თუმცა სასტიკი ღონისძიებაა მიღებული.

—

დ. აბაშა (სენაკის მაზრა). არ შეგვიძლიან არ ვუსაყვედუროთ ბ-ნ ვ. გუნიას, რომელმაც იმოგზაურა დაბა-სოფლებში და თითო-ორ-ორი წარმოდგენა ყველგან გამართა და ჩვენ-კი უყურადღებოდ დაგვტოვა. ნეტა, რისთვის იგდებს ასე აბუჩად აბაშელებს, რომ აბაშაში არც ერთი წარმოდგენა არ გამართა, მიუხედავად იმისა, რომ ის იყო ახალსენაკში და, მაშასადამე, უნდა გაეარნა აბაშაში, მაგრამ წარმოდგენა გუნიამ აბაშაში არ გამართა. ალბად ბ-ნი გუნია იმ აზრით ხელმძღვანელობდა, რომ აბაშაში შემოსავალი ნაკლები იქნებაო. თუ ბ-ნი გუნია ამ აზრისაა, მეტად სცდება. წარმოდგენებს აბაშელები ძალიან ეტანებიან. არავის ეგონა, რომ ბ-ნი გუნია ერთ წარმოდგენას მაინც არ გამართავდა აბაშაში და, როცა იმედი გაუცრუვდათ, ბევრი ახალ-სენაკში წავიდა, რომ დასწრებოდნენ წარმოდგენას.

ჯიხაიშელი.

კავკასია

პროფესორი ვ. მ. პეტრიაშვილი სტუდენტ-ექსკურსანტებით 18 ივნისს დილით მოვიდა ბაქოში, სადაც ჩამოხდა ბაქოს გიმნაზიაში. 18 ივნისს მათ დაათვალიერეს ქალაქის შესანიშნავი ალაგები. 19-ს ინახულეს ნობელის ნავთის ქარხანა, სადაც ბ-ნთ ლამპესი, ბროკისა და ზერკოვის შემწეობით კარგად გაიცნეს ნავთის წარმოების საქმე. ქარხნის გასინჯვის შემდეგ, სტუმრები მიიწვია ქარხნის გამგეობამ სადილზედ, რომელზედაც ბევრი გრძნობიერი სიტყვა წარმოითქვა. 20-ს ექსკურსანტებმა დაათვალიერეს ზუბალაშვილის ნავთის მადანი.

რუსეთი

წერილი რუსეთიდგან

კიევის აკადემიის ქართველი სტუდენტები.

კიევის აკადემია ჩვენის საზოგადოებისთვის მეტად საყურადღებოა, რადგან ამ აკადემიას არა ერთი და ორი სასიქადულო მოღვაწე აღუზრდია ქართველთათვის. საზოგადოდ აკადემიაში ისეთი ვითარება არსებობს, რომ სტუდენტი მეცადინეობას არ გაურბის, ბეჯითობისა არ ეშინიან და სიზარმაცეს ახლოს არ იკარებს, რასაც, სამწუხაროდ, უნივერსიტეტის სტუდენტების შესახებ ვერ ვიტყვით... უნივერსიტეტში მოსწავლე ქართველებს რომ ის სწავლა-ცოდნის და განვითარების სურვილი მისცათ, რაც აკადემიელებს აქვთ მუდამ—«ჩვენს ბედს ძაღლი ვერ დაჰყეფდა», მაგრამ ამაზე სხვა დროს.

კიევის აკადემიაში წელს ოთხი ქართველი სტუდენტი სწავლობდა: მღვდელი ლეჟავა, ჯაფარიძე, გეგელიძე და არსენიშვილი. მღვდელმა ლეჟავამ, ჩვენდა სასიამოვნოდ, ყურადღება მიიქცია პროფესორების და მოსწავლე ამხანაგებისა. ოთხივე, ერთის გარდა, რომელმაც წელს სწავლა დაამთავრა, საზაფხულოდ რუსეთში რჩებიან სამეცადინოდ.

კიევის აკადემიაში წელს სწავლა ბ-ნმა ჯაფარიძემ დაამთავრა. თხზულება ბ-ნ ჯაფარიძისა მეტად საინტერესო და საყურადღებო გამოდგა. „Вліяніе христіанства на положеніе рабовъ въ Римскомъ государствѣ“—აი სათაური თხზულებისა. 1898 წ. აკადემიაში ყველა ქართველი სტუდენტი თხზულებისათვის თემას ქართულ საეკლესიო ისტორიიდგან იღებდა, მაგრამ 1898 წ. ყოფილმა რექტორმა ყველასთვის სავალდებულოდ სცნო რუსთა ეკლესიის ისტორიიდან ამოღებული თემები. მაისში დაინიშნა ახალი რექტორი, რომელიც, როგორც გვეგონა, კვლავ ძველს უფლებას უბრუნებს ქართველ სტუდენტებს. უკანასკნელ ცვლილების წყალობით ქართველ-აკადემიელთ ეძლევათ საშუალება კვლავ შეეხონ ქართულ ისტორიას და გამოარკვიონ ესა თუ ის საინტერესო საგანი.

ბ-ნ ჯაფარიძის თხზულება თუმცა რომაელთა სახელმწიფოს შეეხება, მაგრამ ისეთი რთული და საყურადღებო საგანი უდევს სარჩულად თემას, რომ გვერდს ვერც ქართველი აუვლის და ვერც სხვა ვინმე. თხზულება განიყოფება რამდენსამე ნაწილად: ა) შესავალი „Обзоръ мнѣній по данному вопросу“, ბ) „Положеніе рабовъ въ Римскомъ государствѣ въ дохристіанскомъ періодѣ“, გ) „Гуман. отношеніе къ рабамъ подъ вліяніемъ языческой философіи“, დ) Вліяніе христіанства на положеніе рабовъ“ და ე) დასკვნა.

საქმეთა წაკითხული ცნობილ პროფეს. ნ. მ. დროზდოვის და მ. ა. ოლესნიცკის რეცენზიები ამ თხზულების შესახებ, რომ მიხვედრა საყურადღებო საზოგადო ხასიათის ნაწარმოებია ბ-ნ ჯაფარიძის შრომა. ბ. ჯაფარიძის მიერ მეტად ვრცლად გამორკვეული*) საგანი დაფუძნებულია იმ მასალებზე, რომელიც მოიპოვება ისტორიაში, სოციოლოგიაში და იურისპრუდენციაში (რუსულ თუ გერმანულ ენაზე და აგრეთვე ლათინურზე).

სასურველია ბ-ნმა ჯაფარიძემ თავისი თხზულება გადასთარგმნოს ქართულად და გადასცეს რომელსამე საზოგადოებას დასასტამბად. ასეთის წიგნის შეძენა ქართველ მკითხველისთვის მეტად სასარგებლო იქმნება; ამ თხზულებაში ერთად შეგროვილია ის, რაც წიგნებშია გაბნეული.

იმედია, ბ-ნი ჯაფარიძე თავის არა-ჩვეულებრივ ენერგიის, ბეჯითობის, შრომის მოყვარეობის წყალობით არა ერთს საყურადღებო გამოკვლევა-ნაწარმოებს გვიძღვნის შემდეგშიაც. ბ. ჯაფარიძე უკვე გამოემგზავრა საქართველოში აკადემიის პროფესორთან ერთად.

მალაქია ბოლქვაძე.

უცხოეთი

საფრანგეთი. საფრანგეთის სენატში კიდევ არ დასრულებულა კამათი ბალლონის პროექტის გამო, რომელიც სამხედრო ბეგრის ვადას შეეხება.

პროექტის წინააღმდეგ გაილაშქრეს დე-ბოკენარმა და ვიკონტ დე-მონფორმა. პირველი ამბობდა, რომ სისხლის ბეგარაში ხალხის გათანასწორება მხოლოდ ომიანობის დროსაა საჭირო და არა მშვიდობიანობის დროსაო. მეორე ამტკიცებდა, რომ შეიარაღებული ხალხის იდეა შესაძლოა მხოლოდ გერმანიაში და არა საფრანგეთშიო. სამხედრო მინისტრმა თავისი სიამოვნება გამოუცხადა ყველა ორატორებს, რომ მათის აზრით ჯარის ქველობას ახალის ვადის შემოღება ვერ შეასუსტებსო. მართალია ახალი კანონის შემოღება სამუდამო ჯარის რიცხვს 50,000 კაცით შეამცირებს, მაგრამ ეს დანაკლისი შეივსება იქიდგან, რომ ჯარში გასაყვან ყმაწვილებისათვის სიმაღლის ზომა დაკლებული იქნებაო. კანონი თავის სრულს ძალაში მხოლოდ ოთხის წლის შემდეგ შევა. ჯარის კაცი, რომელსაც ორი წელიწადი უმსახურნია, არაფრით არ ჩამოუვარდება სამის წლის ნამსახურსაო. დასასრულ მინისტრმა თხოვნით მიჰმართა სენატორებს, რომ პროექტისათვის მხარი მიეცათ.

„ვოლფის სააგენტო“ იტყობინება ოფიციალურის წყაროებიდგან, რომ ახალ რე

ფელეტონი

ქართული ლაპარაკი

ბ-ს აკაკი წერეთელს რომ შაირები უყვარს, ეს ყველასათვის ცხადია. მხოლოდ გადაჭარბებული სიყვარული არაფერში არ ვარგებულა. რაკი გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამით კარგიო, ბ-ნი აკაკიც ამ მარტივ ჭეშმარიტებას აჰყოლია და უშაიროთ ლაპარაკს სრულებით გადაჩვეულია. რასაკვირველია, ეს ამბავი ვერაფრად მოსაწონია, რადგანაც ერთის რისამე ახირებული მიჩვევა კაცის ჭკუა-გონებას საშინლად ამახინჯებს. მაგალითებრ, ჩვენი მესტვირეები, რომელნიც მთელს თავის სიცოცხლეს შაირების მოგონებას უნდებიან, ისე არიან თავისუფალს ლაპარაკს გადაჩვეულნი, რომ გზაზედ თუ შეხვდით და სალამი მიეცით, გამარჯვების მაგივრად, გუდას ხელს წამოავლებენ გა გეტყვიან: ზღრასტი ზნაკომ, გამარჯვება, კუდა იდოშ, საითკენაო, თითქოს შაირები ადამიანის თავში-კი არ იბადება, მესტვირის გუდაში ბუდობსო.

ამ გვარი სამწუხარო შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზედ ბ-ნ აკაკის წერილმა „ისევ ქალების აღზრდის გამო“, რომელიც „ივერიის“ 124 ნომერში იყო დაბეჭდილი. ამისათვის „თამარ ცბიერი“-დამ გამოწერილს ლექსებს თავი უნდა დავანებოთ და მხოლოდ წერილის იმ ნაწილს მივაქციოთ ჯეროვანი ყურადღება, საცა ბ-ნი აკაკი წერეთელი ცხოვრების სიბრძნეზედ და ქალების აღზრდაზედ ლაპარაკობს.

როდესაც ბ-ნ აკაკის ზემოხსენებული დაბეჭდილი წერილი მომივიდა, მე გახლდით ცივზედ, გარეჯელას თავზედ, მახლობლად უჯარმისა და გომბორისა, საცა ქართველების დაუვიწყარი გმირი, მათი პირველი მკვიდრად დამასახლებელი ვახტანგ გორგასლანი ცხოვრობდა, მუდამ სამშობლოს კეთილისათვის ზრუნავდა და თავისი წუთისოფელი მტერთან ბრძოლაში დალია.

წარმოიდგინეთ, ორის ვერსის სიმაღლეზედ უშველებელი ტრიალა მთის მინდორი, გარეშემო უდაბურის ტყით მოცული. ამ ტრიალა მინდვრიდამ ისე სჩანს ჩვენი დედა ქალაქი და მთელი აღმოსავლეთი საქართველო—ქართლ-კახეთი, როგორც ხელის გული; ჩრდილოეთით თუშეთი, ფშავეთი და ხევსურეთი, აღმოსავლეთით მთელი ალაზნის ხეობა, დასავლეთით დიდი ნაწილი მტკვრის ხეობისა და სამხრეთით თითქმის მთელი ივრის ხეობა, რომელიც უერთდება უვრცო და უზომო თათრების დავლისაგან დამწვარ-დადაგულს უდაბნოს. აქ მცხოვრებელი კაცი შინ ისე გამაგრებულია, როგორც ტყის ნადირი, რადგანაც სამივე მხრივ თავის საკუთარ სამფლობელოში იმყოფება და, თუ გაჭირვებამ ველად გაიყვანა, ტყის ნადირის ფერი უნდა იცვალოს და მგელი ლომად გარდაიქცეს. სწორედ ჩვენი დიდებული გმირი ვახტანგი იმიტომ იყო განთქმული, როგორც მგელ-ლომი, რომ ველად გავიდოდა, მტერს თავის თავს ლომად აჩვენებდა, მობრუნდებოდა შინისკენ, ისევ მგლად იქცეოდა. ამ გვარი ვახტანგის ვაჟკაცური საქციელი მოსისხლე მტრებს, რასაკვირველია, არ მოსწონდათ, როგორც ბ-ნ აკაკის ჩვენი ორჭოფობა, ორფეროობა და ხვანცარიკობა არ ესიამოვნება. მაგრამ, როგორც ვახტანგი სხვის სიამოვნებას არ დაგიდევდა და მხოლოდ თავის წმიდათა წმიდას იცავდა, ისე მე ნამდვილი გარეჯელი, ცუდა-მადა სიამოვნებას არ დაგიდევ და ვერც იმითი გამაჯავრებენ, რომ ორჭოფა და ხვანცარიკა დამიძახონ; მე ხომ იმერელი არა ვარ, ფხუკსა და ხრიკს მივსდიო!

ნამდვილი მემკვიდრენი ვახტანგისა ჩვენ, ქართველები, მთიულნიცა ვართ და ველურნიც და ეს ჩვენი ძვირფასი თვისება ბევრჯერ მტრისათვის სასიკვდილო მახე ყოფილა. თუ მეც ამ თვისების გამო, ბ-ნ აკაკის უნებლიედ მახე დავუგე, როგორც თვით ბრძანებს, ნურას უკაცრაოთ, რადგანაც ეს მახე ვახტანგის ნაანდერძევია და ყოველი მისგან გარდმონაცემი ჩვენთვის დიდი საუნჯეა.

დიაღ, დიდი თაყვანის მცემელი ვარ იმ ცხოვრების სიბრძნისა, რომლის ნამდვილნი წარმომადგენელნი ქართველთათვის ვახტანგი და დავით აღმაშენებელი იყვნენ; თაყვანსა ვსცემ იმიტომ, რომ მათმა სიბრძნემ გარეთ მტერი მოგვაშორა, შინ მშვიდობა მოგვანიჭა და მხოლოდ მაშინ, ოდეს განცხრომას მივეცენით და ოცნებისათვის მოვიცალეთ, ჯერ ვეღირსენით რუსთველსა და მერე—აკაკი წერეთელს... რა უფრო ძვირფასია ჩვენის სამშობლოსათვის, ცხოვრების სიბრძნე თუ მგოსნის ოცნება და რა მამა-შვილური კავშირია მათ შორის, ამას, რასაკვირველია, ბ-ნი აკაკიც გამოიცნობს.

ამას თავი დავანებოთ.

ბ-ნი აკაკი თხოულობს, რომ მისგან წარმოთქმული სიტყვა ქუთათურ თავად-აზნაურობის კრებაზედ ჩვენს ნათქვამს, რომელიც „ივერიის“ 103 ნომერში იყო დაბეჭდილი, შევადაროთ და სამართლიანად გავსინჯოთ. ბა შუსტა, შევადაროთ და გავსინჯოთ. ბ-ნმა აკაკიმ ბრძანა: „ვინ მოსთვლის, რამდენჯერ გვქონია კრება და მხურვალე სჯა-ბაასი ჩვენის ქვეყნის ავ-კარგის გასაუმჯობესებლად. ეს დღევანდელი ჩვენი კრებაც ერთი იმათგვართაგანია. ყოველთვის, მაშინაც და ეხლაც, როცა ჩვენ საკუთარ საჭიროებაზედ ჩამოვარდება ხოლმე ბჭობა, მე თვალ-წინ მელანდება ერთი და იგივე სურათი: ჩვენ წინ სდგას გაჭირვებული, მშიერ-მწყურვალი, თავიდამ ფეხებამდე შიშველი დ შემწეობას თხოულობს. ჩვენც მზათა ვართ დავეხმაროთ, მაგრამ იმდენი სახსარი-კი არა გვაქვს, რომ ერთხელათ ყოველ-გვარი მისი საჭიროება დავაკმაყოფილოთ; მხოლოთ ზოგიერთს ვაწოდებთ . . . . დღევანდელი ჩვენი კრებაც ერთი იშვიათი, საყურადღებოთაგანია. აქაც საერო საჭიროებაზე გვაქვს მსჯელობა და ვარჩევთ, თუ როგორ უნდა მოვიხმაროთ ის ოცი ათასი მანეთი . . . . გული გვწყდება და სამართლიანად ვუჩივით დღევანდელ ქალებს, მაგრამ დამნაშავე-კი ჩვენვე ვართ, კაცები: მოვაშორეთ ძველ ოჯახს და სამაგიეროდ შესაფერი ვეღარა მივეცით-რა. უფრო მეტი რომ გვეფიქრა იმათ აღზრდაზედ და ძველი გზა გაგვემარგლა, აქამდე ეს ჩვენი ქალები, ცოტაც არის, მიემგზავსებოდნენ და დაუახლოვდებოდნენ ძველ დედებს და ამისთვის ბევრი თავის ტეხაც არ იქნებოდა საჭირო. ამას ყოველიფერს დააკმაყოფილებდა სააზნაურო სკოლების მზგავსი დაბალი საქალებო სკოლა, სადაც შეეძლებოდათ მეცნიერების იმდენად შესწავლა, რამდენადაც საჭირო იქნებოდა, რომ მერე იქ გამოზრდილებს, თვითონვე შინვე გამოეზარდათ სხვა და სხვა სახელმწიფო სასწავლებლებში მისადებად შვილები და იძულებული აღარ ყოფილიყვნენ ვალში და ვახშ ჩადგომით სხვისათვის მიებარებიათ მოსამზადებლად, ისე როგორც დღეს არის. აქვე შეასწავლიდნენ ყოველგვარ საოჯახო საქმეს და ეს იქნებოდა, როგორც მათის ზრდის, ისე საერო კეთილ-დღეობისაც პირველი საფეხური და შემდეგში ესევე გადაგვადგმევინებდა სხვა ბიჯსაც, რომ ქვეყანას აღარ ჩამოვრჩენოდით! შევუდგეთ დღეს ამ დიდს საქმეს, მხოლოდ ერთი დგმა, ერთი თაობა მოვამზადოთ ამ გვარად და მეტი აღარ იქნება საჭირო: სკოლა გადავა ოჯახებში და მერე, შეგვიძლია, თუ საჭიროდ დავინახავთ, ეს ფული დავაბრუნოთ და სხვა რამეზე მოვიხმაროთ“.

ამ გვარ ქალების აღზრდაზედ მსჯელობა ჩვენ არ მოგვეწონა და ამისთვის, სხვათა შორის, ბ-ნს აკაკის ვუპასუხეთ:

„საკვირველია, ღმერთმანი, რომ ჩვენ, ქართველები, ნატვრაშიაც უხეიროები ვართ. თამარ-დედოფლის დროის ქალების აღდგენა რომ არ ვინატროთ, უფრო ადვილი სანატრელი არ არის, რომ ჩვენი დღევანდელი ოჯახი, დედა და ქალი დღევანდელ ევროპიულ საუკეთესო ოჯახს, დედას და ქალს დაემგავსოს. ამისთანა ნატვრა და სურვილი უფრო კანონიერიც იქნება და მასთან უფრო ადვილად ასასრულებელი . . . . თუ-კი საუკეთესო ოჯახის ნიმუში სადმე მოიპოვება, მაშ, რაღ ლობე-ყორეს ვედებით და საქმეს ტყუილად ვიძნელებთ! ის არა სჯობია, დავადგეთ ევროპიელებისაგან გაკვეთილს გზას და ისე აღვზარდოთ ჩვენი ქალები, როგორც ისინ

---

*) თხზულება შეიცავს 260 გვერდს.

ფორმებს (ორ წლიან ვადის შემოღებას სამხედრო ბეგრისათვის) 70 მილიონი ფრანკი დასჭირდება დამატებით ხარჯადაო.

— ნაციონალთა გაზეთები გვარწმუნებენ, ვითომც სახალშენო წრეებში დიდი მითქმა-მოთქმა იყოს სიამში გასაგზავნ ექსპედიციის შესახებ, რათა შეიარაღებულის ძალით მაინც შეაჩერონ ინგლისის გავლენა ამ ქვეყანაში. ამ განზრახვას საიდუმლოდ ინახავდნენ, მაგრამ მაინც გაუგია „Patrie"-ს და მწუხარებას აცხადებს, რომ საფრანგეთმა არ ისარგებლა მშვენიერი შემთხვევით, როცა ინგლისი სამხრეთ-აფრიკის საქმეებში იყო გაბმულიო.

— პალატა მალე შეუდგება სარელიგიო კონგრეგაციების შუამდგომლობას შესახებ იმისა, რომ მათ საფრანგეთში დარჩენის ნება მიეცეთ. მინისტრთა საბჭომ უკანასკნელი სხდომა ამ შუამდგომლობათა განხილვას მოანდომა. კანონში ასოციაციათა შესახებ ბევრი გამოურკვეველი და ერთმანეთის მოპირდაპირე მუხლებია, რის გამოც ხშირად მოხდება ხოლმე, რომ სრულებით ერთგვარ საქმეებზედ სულ სხვა-და-სხვა განაჩენს დაადგენენ ხოლმე. იბადება კითხვა, არის თუ არა საჭირო შეიცვალოს ასოციაციათა შესახებ კანონის ზოგიერთი მუხლები, განსაკუთრებით ის მუხლები, რომელიც ეხება წინანდელ სარელიგიო საზოგადოებათა არსებობას? ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა მინისტრთა საბჭომ გადასდო, მინამ არ მიიღებს საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელსაც გადაეცა ყველა სადავო საკითხები ამ საქმის შესახებ. იუსტიციის მინისტრს-ვალეს დაავალეს, სთხოვოს საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარეს ზემოხსენებულ საქმეთა განხილვის დაჩქარება.

— აბბატს გეიროს განუცხადებია მინისტრ-პრეზიდენტისათვის თავისი სურვილი, რომ მთავრობას უნდა შეეკითხოს, რით ხელმძღვანელობდა იგი, როცა საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობისათვის ზოგიერთს მღვდელს ჯამაგირი დაუკავაო. მეორეს მხრივ, რადიკალთა დეპუტატმა ლაკომბმა შემდეგის წერილით მიჰმართა პირველს მინისტრს:

„აბბატი გეირო თურმე შეკითხვას უპირებს სამინისტროს იმ დისციპლინარულ ზომათა შესახებ, რომელიც მან მიიღო ზოგიერთ მღვდელთა წინააღმდეგ. პატივი მაქვს ვაცნობოთ, რომ თუ ეს მოხდა, მეც შემოვიტან წინადადებას, რათა საპარლამენტო კომისია დაინიშნოს და იმან გამოიძიოს საკანონმდებლო არჩევნებში სასულიერო პირთა ჩარევის საქმე".

„მე ვგონებ, რომ ქვეყნისაცა და პარლამენტისათვისაც დიდად საყურადღებო იქნება დაწვრილებით გამოირკვეს და გამომჟღავნდეს უკანონო მონაწილეობა სამღვდელოებისა საარჩევნო ბრძოლაში.

ჩინეთი. გაზეთი „Independans Belge"-ი ეხება „Times"-ში დაბეჭდილს პეკინელ კორესპონდენტის ცნობას და, სხვათა შორის, შემდეგი მოსაზრება მოჰყავს. „რუსეთის პოლიტიკა შორეულს აღმოსავლეთში იმაში მდგომარეობს, რომ მეგობრული განწყობილება იქონიოს ჩინეთთან და აგრძნობიოს მას, რომ მხოლოდ რუსეთი იცავს ჯეროვანად ჩინეთის ინტერესებს და სხვა სახელმწიფოებს ნებას არ აძლევს ხელში ჩაიგდონ ციურის იმპერიის რომელიმე ნაწილი. დღემდე რუსები იმდენად ბეჯითად ადგნენ ამ გზას, რომ თავისუფლად მოიკიდეს ფეხი ჩრდილოეთ ჩინეთში და ამავე დროს ხელი შეუშალეს გერმანიისა და ინგლისის შანდუნსა და იან-ძიში დამკვიდრებას და იაპონიის—კორეაში გამაგრებას. რუსეთის საქციელს, რომელსაც არა ჰსურს ტიანძინის დაბრუნების გაჭიანურება და არც სხვა საძნელო პირობების წამოყენება, უეჭველია, ჩინეთიც მიხვდება. მართალიცაა, რომ რუსებს არავითარი ინტერესი არა აქვთ ტიანძინში; მათთვის სულ ერთია, დაუბრუნდება იგი ვიცე-კაროლს, თუ არა. ყოველივე ეს საუკეთესო მაჩვენებელია იმისა, თუ რამდენად სუსტი გეგმა ჰქონდათ საერთო მოქმედებისა ევროპის სახელმწიფოებს შორეულს აღმოსავლეთში. შემდეგ ამისა, რათღა უნდა გვიკვირდეს, რომ ჩინეთი—დასუსტებული, აკლებული და ღონე-მიხდილი—კიდევაც დასცინის სახელმწიფოებს და ფაქტიურად სრულებით ხელიდგან უსხლტება იმათ, ვისაც ეკონომიურად ეგონათ, რომ ვსძლიეთ იგიო!

ინგლისი. ინგლისში ამ ჟამად მხოლოდ მეფის ავადმყოფობა გახდომიათ საფიქრებლად და საზრუნავად. ამაზედ ლაპარაკობს არამც თუ ინგლისისა, არამედ უცხოეთის მწერლობაც. ლაპარაკობენ აპერაციაზედ, მორჩენის იმედზედ, სიკვდილის შიშზედ და მრავალ სხვა წვრილმანებზედ. დეპეშებს თანდათან უფრო დამამშვიდებელი ამბები მოაქვთ, მაგრამ ჩვენამდე მოსული გაზეთების ცნობები დიდს შიშს ჰბადავს მკითხველებში. ერთს დროს ხმა გავრცელდა, რომ მეფეს კიბო აქვსო, მაგრამ ეს ცნობა უარ-ჰყო ერთმა ლეიბ-მედიკმა. „ლაფანის საგენტო" იტყობინება, რომ ექიმებს არავითარი იმედი არა აქვთ მეფის მორჩენისაო, და დიდი გაბედულობა იყო მათის მხრივ აპერაციის გაკეთება, მაგრამ უიმისოდ 48 საათსაც ვერ გასტანდა მისი სიცოცხლეო. მერმე იტყობინებოდნენ, რომ აპერაციის შემდეგ ექიმები უფრო დაღონდნენ, რადგან ავადმყოფი ნაწილები ბევრად უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ვიდრე ეგონათო. შიშს ის უფრო იწვევს, რომ მოსალოდნელია ავადმყოფობის გართულებაო.

ჟურნალ «Medical Journal»-ი სულ სხვა მიზეზს ასახელებს ავადმყოფობისას—ჰიის მაგვარ წელის ანთებას. ამ ავადმყოფობის ახსნა-განმარტება-კი მედიცინამ ჯერ-ჯერობით ვერ შესძლო.

შვეიცარია. ამას წინად ბერნში დიდი არეულობა მომხდარა. ბერნის უნივერსიტეტის რექტორი, პროფ. ფეტტერი დასწრებია ნიურენბერგის გერმანელთა მუზეუმის საიუბილეო დღესასწაულს; მას სიტყვა წარმოუთქვამს და, სხვათა შორის, შემდეგი სიტყვები წამოსცდენია: „შვეიცარია—გერმანელთა პროვინციაა"; „ჩვენ გერმანელნი ვართ და გერმანელებადვე დავრჩებით". ამ სიტყვას დიდად აუღელვებია მთელი შვეიცარია—განსაკუთრებით რომანთა ნაწილი; როცა ფეტტერი დაბრუნდა ბერნს, უნივერსიტეტის სტუდენტთ მისის ფანჯრების წინ საშინელი ღრიანცელი აეტეხათ. საქმეში პოლიციაც ჩარეოდა და იმის მაგივრად, რომ მანიფესტანტები გაეფანტა, ხმალ და ხმალ მიჰსეოდა მათ და დაეწყო ჩეხა. ბევრი სტუდენტი და გარეშე მაყურებელი დაუჭრიათ. ორი ჟურნალისტი, რომელთაც ასეთ ძალმომრეობის წინააღმდეგ პროტესტი გაეცხადებინათ, დააპატიმრეს. ქალაქში ყველა აღშფოთებულია. სამოქალაქო საბჭოს სოციალისტთა ჯგუფმა სწრაფი განკარგულება მოახდინა, რომ საბჭო დაუყოვნებლივ შეიკრიბოს. 400 სტუდენტმა საწინააღმდეგო მიტინგი გამართა და დიდად გაჰკიცხა როგორც პოლიციის თავხედობა, ისე ფეტტერის სიტყვა და ქუჩაზედ პატრიოტულ სიმღერებით ჩაიარეს. პოლიციას კრინტიც აღარ დაუძრავს.

გერმანია. „Figaro"-ს ბერლინელ კორესპონდენტს შარლ ბონეფონს სარწმუნო წყაროებიდგან შეუტყვია, რომ გერმანიისა, ავსტრია-უნგრეთისა და იტალიის სამთა კავშირის ახალს ხელშეკრულობას მკათათვის პირველ რიცხვებში მოაწერენ ხელსაო.

შეერთებული შტატები. თიბათვის 12 თათბირი ჰქონდათ პალატისა და სენატის დეპუტატებს ატლანტიისა და დიდის ოკეანეს არხით შეერთების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ თათბირს დაესწრნენ მორგანი და ჰეპბერნი—ნიკარაგუას არხის დიდი მომხრენი, კრებამ თითქმის ერთხმად მოიწონა პანამის არხი და სენატმაც მიიღო იგი. რადგან პრეზიდენტ რუზველტიც, უეჭველია, თანახმა გახდება ამ გადაწყვეტილებისა, პანამის მომხრეთ თამამად შეუძლიანთ თავისი გამარჯვება იდღესასწაულონ.

ავსტრია-უნგრეთი. გაზეთი „Pesti Naplo" იუწყება, ვითომც სელლის მახლობელ პირებს ელაპარაკოთ, რომ უნგრეთის მინისტრ-პრეზიდენტი ყოველსავე მოლაპარაკებას სპობს კერბერთანაო. ამის გამო კერბერი ახლო მომავალში სამსახურს თავს გაანებებსო.

ესპანია. ხერესში მეურნე მუშებს პირი შეუკრავთ. მიზეზი ისაა, რომ მემამულენი ქირის მომატებას არა სთანხმდებიან. ამ გარემოებამ მთავრობა შეაფიქრა; ჯერ კიდევ იმედოვნებენ, რომ საქმე მშვიდობიანად დაბოლოვდება.

სხვა-და-სხვა წერილები

ვუჩინოს სოია *)

(გაგრძელება**)

სოიას ჯიშები.

იაპონიაში სოია რამოდენიმე ჯიშისაა: 1, თეთრი ან მკრთალი, მოყვითანო, 2) შავი, 3) მოწითანო დარიჩინის ფერი, 4) მწვანე და 5) წინწკლებიანი მარცვლებიანი სოია. გარეგნობით მარცვლები არის რგვალი, ბრტყელი, ჭაჭის ფორმისა და მოგრძო-რგვალი (ელიფსოიდის ფორმისა). თავის შინაარსით სოია არის ადამიანის საჭმელი და საქონლის საკვები. პროფესსორის რეინის თქმით, იაპონიაში უფრო ხშირად იხმარება:

1) თეთრი და მოყვითანო სოია, რომელსაც იაპონურად ეძახიან „შირო-მამე"-ს. ამ ჯიშს ეკუთვნის ნაადრევი სოია „გოგუპატცე-მამე". ამის ჯიშისა არის აგრეთვე „ვასე-მამე", ან „ნაცუ-მამე", რომლის მარცვლიდგან კეთდება ყველი და „ნაკატე-მამე"-დგან აკეთებენ „მიზოს"-ს, საწებელს. გვიან დამწიფება იცის: „ოკუტე-მამე" „მარუ-მამე" და „აკი-მამემ", რომლების მარცვლებიდგან აკეთებენ საწებელს (შოი), ამასთან „მარუ-მამე" საუკეთესო საკვებია ცხენისთვის.

2) შავი სოია, ან „კურე-მამე", რომლის მარცვალს ხარშავენ, შაქარს უშვრებიან და ფლავის თავად ხმარობენ.

3) დარიჩინის ფერი სოია, რომელსაც ეძახიან „კაკუ-დაიცუ"-ს და ხმარობენ, როგორც შავ სოიას.

4) ზემოხსენებულ ჯიშებზე ნაკლებ ხმარობენ მწვანე ან მოლურჯო მწვანე ფერის სოიას („აუ-მამე"). შაქრით შეზავებულს ხმარობენ საჭმელად.

5) ჭრელი სოია—„ფუგკრი—მამე".

სოია აზიაში და ევროპაში.

სოია არის აზიის მცენარე და საოცრად გავრცელებულია მთელს ჩინეთსა, იაპონიასა, კორეასა, ინდოეთსა და რამოდენიმედ მონღოლიაშიაც. იაპონიაში სოია ყოველ წელიწადს ითესება 470,000 დესიატინა მიწა, ან ერთ მილიონზედ მეტი ქცევა. ექიმის რეინის სიტყვით, სოია შეადგენს ყოველ დღიურ საჭმელს იაპონიასა და ჩინეთში, როგორც მდიდრებისასა, ისე ღარიბებისას და ხორცისა, ერბოსა და ზეთის მაგიერობას უწევს ადამიანს.

ევროპაში პირველად ჩამოიტანეს სოია 1790 წ. და პირველი სახელმწიფო, რომელმაც მიაქცია ამ მცენარეს ყურადღება, იყო ინგლისი. ეხლა ქვეყანა არ არის ევროპაში, სადაც ამ შესანიშნავ მცენარის გავრცელებას არა სცდილობდნენ. განსაკუთრებითი ყურადღება მიიქცია სოიამ ევროპაში პროფესსორ ჰაბერლანდის, ფორშერის და სხ. მეცადინეობით. ჰაბერლანდი, თავისს შესანიშნავ თხზულებაში,—„Die Sojabohne". Wien, 1878—სოიაზე ამბობს შემდეგს: „ძალიან კარგი გამოდგა შუა ევროპაში ნაადრევი სოიები და იმათში განსაკუთრებით კარგია ყვითელი და მოწითანო დარიჩინის ფერის მარცვლიანი; მარცვალი დიდი და ლამაზი გამოვიდა და ქიმიური ცვლილება მარცვლებში არავითარი არ ეტყობა. სოია ადვილად იტანს გაზაფხულის ყინვებს, უკეთ, ვიდრე ლობიო, გვალვისა იმდენად არ ეშინიან, როგორც სხვა ლობიოებს. სოია იძლევა დიდს მოსავალს მარცვლად და ჩალად. სოიაში პროტეინი და ქონები მეტია, ვიდრე სხვა ლობიოში და უკეთესი გემოც აქვს».

რუსეთში სოია შემოიტანეს წარსულ საუკუნის სამოც-და-ათიან წლებში და მას აქეთ ვრცელდება, თუმცა ნელ-ნელა.

სოიას კულტურა (მოყვანა)

სოია ყოველ ნიადაგზე ხარობს და ამიტომ მისი გავრცელება ყველგან ძალიან ადვილია, გარდა იმ ადგილებისა, სადაც ნიადაგი და ზეადაგი სველი არ არის ბუნებით (ჭაჭუო). საუკეთესო იქნება, რასაკვირველია, შავ ნიადაგზე, ან სილა ნარევ ადგილზე, აგრეთვე ძალიან მოდის იქ, სადაც ნიადაგი მჩალტეა, მშრალი და კირ-ნარევი. ბ. ვუჩინოს ჰქონდა დათესილი სოია ქობულეთში შავი ზღვის ახლო, სადაც ნიადაგში ბევრი ზღვის სილა არის, და მოსავალი მშვენიერი მოუვიდა. საზოგადოდ საქართველოს ყოველ ნაირ ნიადაგზე სოია უხვად მოვა. რადგანაც სოიას უფრო ფხვიერი მიწა უყვარს და ამასთან გრძელი უმთავრესი ძირი აქვს, ამიტომ მიწა 4—6 ვერშოკის სიღრმით უნდა იყოს დამუშავებული. კარგი იქნება მიწა მომზადდეს შემოდგომიდგან, რადგანაც ამ დროს დამუშავებულ მიწაში მცენარისათვის საჭირო საკვები ნივთიერებანი მიწისა ჰაერის-სითბოსიცივის და წვიმა-თოვლის ზედ მოქმედებით ბელტების დაშლის შემდეგ, დაიშლება, დარბილდება. თუ მიწა იმნაირია (მაგ. თიხა), რომ შემოდგომის დახნული ან გადაბარული გაზაფხულამდე დაიტკეპნება, ამ შემთხვევაში ნიადაგი უნდა მომზადდეს გაზაფხულის წინ.

თავის სამშობლოში, იაპონიაში, სოიას ნიადაგს არ უნოყიერებენ, ან ძალიან იშვიათად აყრიან პატივს. პატივად ჰხმარობენ უპრალო შავის ნაცარს ან ფრინველების განავალს. ბ. ბ. ოვსინსკის და ჩეტოვის გამოცდილებით სოიას არ ეჭირვება არავითარი პატივი. გერმანელი მეურნეები ამტკიცებენ, რომ ძველი, კარგად დამპალი ნეხვი, ძალიან სასარგებლოა სოიასთვის.

ჩემის გამოცდილებით განოყიერებულ მიწაზე სოია, მართალია, ძალიან იზრდება, ბევრს შტოებს და აუარებელ ფართო ფოთლებს იძლევა, პარკებსაც აუარებელს ისხამს, მაგრამ მარცვლები-კი ნაკლებადაა,—ბუჩქზე 270 მარცვალზე მეტი არ მოიპოვება, პატივ-დაუყრელს ადგილზე-კი ისეთს ბუჩქებს შეხვდებით, რომლისაგან შეგიძლიანთ მოაგროვოთ 500-დე მარცვალი.

ქუთაისის გუბერნიაში ჯერ-ჯერობით სოია ითესება პატივდაუყრელ მიწაზედ და მოსავალზე საყვედური არ გაგვიგონია. თუ ძალიან მწირი მიწა არის, იქ, რა თქმა უნდა, მიწის გასუქება უსარგებლო არ იქნება.

როდესაც დახნული ან გადაბარული მიწა დაფარცხულია, სთესავენ სოიას ისე, როგორც ლობიოს, ან სიმინდს. ყველაზედ უკეთესია მცენარეების კარგად მოსავლელად და მათ თავისუფლად ზრდისათვის მარცვლების წყებად თესვა (РЯДОВОЙ ПОСѢВЪ). კარგ მიწაზე ერთი წყება მეორეზე უნდა იყოს დაშორებული 12 ვერშოკზე და წყებაში ერთი მცენარე მეორეზე—9 ვერშოკით.

ვუჩინოს სოიას ეს ზომა არ ჰყოფნის: როდესაც მარცვლები ახლო ახლო ითესება, წყება 12—15 ვერშოკზეა დაშორებული—ბუჩქი ერთობ მაღლა იზრდება და ძირი მცენარისა სუსტი გამოდის. ჩემის დაკვირვებით ვუჩინოს სოია უნდა დაითესოს უფრო შორს ერთი მეორეზე: წყებასა და წყებას შუა უნდა იყოს არა ნაკლებ ერთი არშინისა და ოთხი ვერშოკისა, ხოლო წყებაში ერთი ბუჩქი უნდა იყოს დაშორებული მეორეზე ერთ-ნახევარ არშინზე. მარცვლები ორის წლისაზე უძველესი არ უნდა იყოს.

თუ სოია ითესება ჩვეულებრივ, გაფანტვით, ქცევას (900 კვადრ. საჟენი) მოუნდება არა მეტი ერთ ფუთ ნახევარისა და წყება-წყებად—საკმარისია ერთი ფუთიც. თესლებზე უნდა დაეყაროს მიწა დაახლოვებით ერთ ვერშოკამდე. თუ თესლები ერთის წლის არა უხნესი იყოს, მცენარე ამოვა მეექვსე, მეშვიდე დღეს, იშვიათად მეათე-მეთორმეტე დღეს. ამოსვლა შეიძლება დაჩქარდეს, თუ თესლები დათესვამდე ნელ-თბილ წყალში ალბეთ 10—12 საათით.

ამოსვლის შემდეგ სოიას მოვლა ძალიან ადვილია და მდგომარეობს იმაში, რომ, როცა წამო-

---

ზრდიან? ის არა სჯობია, ამ უსარგებლო ბაასის მაგიერ, ყველანი ბეჯითად შევუდგეთ საკმაო თანხის შეგროვებას და მით დავაკმაყოფილოთ ჩვენის ქალების აღზრდა-განათლების საჭიროება. მაგრამ ჩვენ, ქართველები, საკვირველი ხალხი ვართ; ავტეხილვართ ჩვენ ჩვენი გზა და კვალი გვაქვსო, ქალების აღზრდაც ჩვენის საკუთარის ჭკუით უნდა დავაწყოთო. ნება თქვენია, მხოლოდ ამ გვარი აზრი, სხვა არა იყოს-რა, სასაცილოა". სასაცილოც არის და სატირელიც, რასაც ბ-ნი აკაკი ბრძანებს.

რათა? მოგახსენებთ.

თუმცა ჩვენი მგოსანი თავის თავს მაღლა „ამღმაფრენს" უწოდებს და ჩვენ „დაბლა მოჩმულს სიბრძნეს", მაგრამ ცხოვრების სიბრძნის კანონი ძალას ატანს და ფრთებ-შეკვეცილი თავის სიტყვას ამითი იწყებს, რომ ჩვენ, ქართველები, ღატაკები, შიშვლები და მშიერ-მწყურვალები ვართ და ამის გამო ბევრს რომელსაც აფრქვევს, მაგრამ რაკი უკრავმწენებლად, როგორც მათხოვარს, ოცი ათასი მანეთი გვიბოძეს, ჩვენს მგოსანს ფრთები შეესხა, აქაურები დაავიწყდა და საიქიოს აწვია თამარ-დედოფლის გამოსაწვევად. იმასაც არ დასჯერდა, ატეხილა, გინდა თუ არა, ძველი გზა და კვალი უნდა გავიმარგლოთ, რომ ჩვენი ძველის ოჯახის ჩრდილი მაინც დავდგინოთ და ეს ოცნების იშტა ჩვენს მგოსანს მხოლოდ მაშინ გაეხსნა, როდესაც სხვისი ნაბოძები, მუქთი ოცი ათასი მანეთი დაინახა. როგორ არ უნდა ატირდეს ნამდვილი ულის-შვილი, როდესაც ამ გვარ ჩვენს უბეურებას მოესწრებიან. როგორ არ უნდა შერ კაცს, როდესაც იგი მხოლოდ მაშინ ლაპარაკობს გულ-დაწყვეტილი თავის შვილების აღზრდაზედ, როდესაც აღზრდის სარჩოს მუქთადა პოულობს და თვითონ-კი თავის ჯიბიდგან არაფერსა სწირავს. განა, იკადრებდნენ ამისთანა საქციელს ჩვენი განთქმულნი წინაპარნი, რომელთაც საქვეყნოდ გამოიჩინეს თვისი ცხოვრების სიბრძნე? არაფრის მქონებელთა ყოველივე შეიძინეს თავის ჯანითა, თვისის შრომითა, თავის ჭკუითა და მამულისათვის თავგანწირულებითა. თუმცა ლექსების წერა არ იცოდნენ, მაგრამ პირველად მათ დააკვესეს ის ნაპერწკალი, რომლიდგანაც წარმოსდგა ჩვენის ერის ცხოვრების სინათლე. ნაცვლად იმისა, რომ ეს ძვირად ნაშოვნი ძველი სინათლე უფრო გაგვეჩაღებინა, ჩვენ ამ საჭირო სინათლის აუცილებელს საზრდოს, ჩვენის მამა-პაპის საცხოვრებელს, გაუმაძღრობის ცეცხლი წავუკიდეთ, თითქმის სულ ერთიანად გადავწვით და დავრჩით იმ დღევანდელს სიბნელეში, რომლიდგანაც მხოლოდ ხელ-ახლად ნაპერწკალის დაკვესება გამოგვიყვანს. ვინ დაგვიკვესებს ამ საჭირო და სანატრელს ნაპერწკალს? ვგონებთ, ვერც თამარის აჩრდილი, ვერც მგოსნის ცარიელი და უნიადაგო ოცნება!

ამ გვარ სასიკვდილო გარემოებაში ჩავარდნილ ხალხს რა გვმართებს გარდა იმისა, რომ ნაცვლად უნიადაგო ოცნებისა, დიდი და პატარა გულ-მოდგინედ შევუდგეთ მუდმივ ჯაფასა, შრომასა და ისევ ჩვენის საკუთარის საზრდოს სინაბარა ვიყვნეთ. მანამ ჩვენი მაღლა აღმფრენი მოციქულნი ამ ზემოხსენებულს ცხოვრების სიბრძნეს არ შეითვისებენ, მათი მგოსნობა ჩვენის ხალხისათვის არამც თუ ფუჭი და უმაქნისია, პირ-იქით, მავნებელია.

მეც სწორედ ეს აზრი მქონდა მხედველობაში, როდესაც ვამბობდი: ის არა სჯობიან, ამ უსარგებლო ბაასის მაგიერ, ყველანი ბეჯითად შევუდგეთ საკმაო თანხის მოგროვებას და მით დავაკმაყოფილოთ ჩვენის ქალების აღზრდა-განათლების საჭიროება.

ეს გახლდათ სატირელი მხარე ბ-ნ აკაკის სიტყვისა და ახლა საცინელიც განვიხილოთ.

ჩვენს მგოსანს, რომელსაც არა ერთხელ ჩაუხედნია თვისის საზოგადოების გულში, თითქოს ეშინიან, ვაი თუ კრებამ არ გაიმეტოს სამუდამოდ შეწირვა ქალების აღზრდისათვის იმ ოცი ათას მანეთისა, რომელიც ციდამ ჩამოვარდნილა და ამიტომ თამამად გვარწმუნებს, რომ ამ ფულით საკმაო იქნება მხოლოდ ერთად-ერთი თაობა აღვზარდოთო და ის ერთი თაობა, როგორც დედები, თავად მოაშენებს განათლებულს ქალებსაო. ამისათვის თითქმის თავდებათაც გვიდგება, რომ დახარჯული ფული ისევ უკან დაგვიბრუნდებაო და სხვა კეთილს საქმეს მოვანდომებთო. რასაკვირველია, კეთილი საქმე თავის დღეში არ გამოგველევა, მაგალითებრ, მარშლებისათვის ჯამაგირების ანუ პენციის დანიშვნა; ეს ყველაფერი მართალია, მაგრამ ჩვენ, სწორედ მოგახსენოთ, გაკვირვებული ვართ, ერთმა განათლებულმა ქალების თაობამ როგორ უნდა განანათლოს მრავალი სხვა თაობა? ვინ არ იცის, სიკვდილ-სიცოცხლე რა არის; დღეს ვართ, ხვალ არა; წარმოიდგინეთ, ერთ დღეს რაიმე უცნაურმა ჭირმა მთელ განათლებულ ქალების თაობა სულ ერთიანად ამოსწყვიტა; მერე რაღა ეშველება დანარჩენს თაობას? ხომ სულ ფუჭად ჩაიარა შვიდჯერ ოცი-ათასმა მანეთმა! აგრე ადვილი რომ ყოფილიყო განათლების გავრცელება, მაშ საფრანგეთი და გერმანია ამ ოც-და-ათის წლის განმავლობაში რაზედ იყვლიფებიან და ყოველს წელიწადს ძველს ხარჯს ას-ას მილიონობით უმატებენ განათლების თანხას? არა, ბატონს აკაკის საცინელი წარმოდგენა აქვს შესახებ ქალების აღზრდა-განათლებისა!

ამ დალოცვილ ქართველთა ქალების აღზრდა-განათლება ისე ადვილი ჰგონებია, როგორც ცხენის ჯოგის მოშენება; მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჯოგის მოშენებას მხოლოდ საძოვარი სჭირებია და ჩვენის ქალების აღზრდა-განათლებას-კი არავითარი საძოვარი არ მოუხდება. ეს კიდევ არაფერი, მგოსნის ოცნება ისე შორსა ჰფრინავს, რომ მეორე თაობას, რომელმაც პირველისაგან უნდა მიიღოს განათლება, მშიერ-მწყურვალს სხვა სახელმწიფოებშიაც ჰგზავნის, რა არის იქ დაამთავრონ თავიანთი შინაური განათლება. აქაო და მე ფრთები მასხიაო, ჩვენს მგოსანს ჰგონია, რომ ჩვენი ახალთაობაც საზღვარ-გარედ ადვილად გადაფრინდებაო და იქ უკვდავების წყაროს დაეწაფებაო.

მაშ, საცინელი არ არის, მკითხველო, ამგვარი ცხოვრების უცოდინარობა, რომელიც ჩვენმა პატივცემულმა მგოსანმა გამოიჩინა, მაგრამ, როდესაც კაცს ცხოვრების სიბრძნე აკლია, შედეგი სასაცილო იქნება.

სიცილსაც თავი დავანებოთ, ჩვენი პატივცემული მგოსანი მისაყვედურებს, ვითომ მე ჩვენის დედა-ენის შესწავლის წინააღმდეგი ვიყო. აბა, ეგ ტყუილი რა სათქმელია? ან რომ დაიფიცოთ კიდეც, ვინ დაგიჯერებთ? განათლებული რუსებიც-კი დღესა ჩივიან, ქართველებს თავიანთი ენა ავიწყდებათო („С. Пет. Вѣдом." № 159) და მე, ნამდვილ ქართველს, ისე ღმერთი როგორ გამიწყრება, რომ დედა-ენა უცხო ენას ვანაცვალო! ჩემს ენაზედ რომ ხელი ავიღო, რაღა ქართველი ვიქნები? ეგ ხომ ჩემი ეროვნული და მასთან პირადი სიკვდილი იქნება! მე სულ იმასა ვფიქრობ უცხო ენები შევისწავლოთ იმ განზრახვით, რომ ჩვენი საკუთარი გავამდიდროთ და არა იმიტომ, რომ ჩვენი ენა სხვისაზედ გავცვალოთ. აგრეთვე ვფიქრობ ჩვენს ქართულს ოჯახზედ. მე ვამბობდი და ვიმეორებ, რომ ჩვენი ძველი ოჯახი სამუდამოდ დაიქცა და დაინგრა. რადგანაც დანგრეული ოჯახი ხალხის სიკვდილს მოასწავებს, ამისათვის საჭიროა დაუყოვნებლივ შევუდგეთ ახალის ოჯახის აშენებას: რა ნიადაგზედ? რა თქმა უნდა, ჩვენს საკუთარ ნიადაგზედ და არა ფრანგებისა და ამერიკელების ნიადაგზედ. თუ ეს ასე არ იქნება, მაშინ ჩვენ ქართველები-კი არ ვიქნებით, ფრანგები და ამერიკელები ვიქნებით.

ჩვენ უნდა შევითვისოთ უშიშრად და ეროვნების უვნებლად ყოველივე, რაც-კი კარგი მოიპოვება ევროპიულ ოჯახში და მის აღზრდა-განათლებაში; თუ ჩვენ ამ ძნელს საქმეს აუვედით, მერწმუნეთ, ძველის ოჯახის საფლავიდგან აყენება არასოდეს არ დაგვეჭირდება, რაც უნდა ბევრი იქადაგოს ბ-მა აკაკი წერეთელმა.

ნინია გარეჯელი.

---

*) იხ. „ივერია" № 118.

*) *) იხ. წიგნი „Соя,какъ одинъ изъ лучшихъ пищевыхъ и кормовыхъ продуктовъ растительнаго царства." А. Е. Вучино.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იზრდება 3—4 ვერშოკი,—მოთოხნონ, მოგლიჯონ გარეული ბალახები და ბუჩქებს მიწა შემოაყარონ. მეორედ თოხი უნდა მაშინ, როცა ბალახი ხელ-ახლად ამოვა და შემდეგ-კი თოხი აღარ არის საჭირო, რადგანაც სოიას ფართე ფოთლები და გაშლილი ტოტები სიცოცხლეს უსპობს ყოველნაირ გარეულ ბალახს.

ყვავილს გამოიტანს სოია მე-25, ან მეორმოცე დღეს, რაიც ჯიშსა, ამინდსა და ნიადაგზე ჰკიდია. ყველა ყვავილი ერთ დროს არ გამოაქვს ჯერ აყვავდება ქვედა ნაწილი, შემდეგ შუა და ბოლოს წვერები. ამიტომ მარცვლებიც ერთ დროს არ მოდის და არა მწიფდება. მაშასადამე, შეგროვებაც უნდა სხვა-და-სხვა დროს. საზოგადოდ შეიძლება ერთიანად შეგროვება ყველა პარკებისა მაშინ, როდესაც სულ ზევითა პარკებში მარცვლები მწიფებას დაიწყებს. ეს დრო იქნება დაახლოვებით ნაადრევი სოიისათვის 108—110 დღის შემდეგ ამოსვლისა; დარიჩინის გვარის ნაადრევის სოიისათვის მე 100 დღეს; იაპონიის ნაადრევ „ეშივარისათვის“ მე 100 დღეს და ვუჩინოს სოიისათვის მე 120—130 დღეს. შესაძლებელია ამინდის და სხვა მიზეზების გამო ეს დრო ცოტა შემოკლდეს, ან გაგრძელდეს.

ნ. მკურნალი.

(შემდეგი იქნება)

ნაკვესი და ნარევი

რა არის ბავშვი? ერთმა ინგლისურმა ჟურნალმა გამოაცხადა, რომ ჯილდოს მიიღებს, ვინც ყველაზედ უფრო ნამდვილ პასუხს მოგვცემს ჩვენს კითხვაზედ: „რა არის ბავშვი?“ რედაქციამ მრავალი პასუხი მიიღო, მაგრამ აქ ჩვენ მხოლოდ უფრო საყურადღებოს მოვიყვანთ.

ბავშვი—ადამიანის ყვავილია, რომელსაც ჯერ კიდევ არ შეჰხებია ზრუნვა,—მამის მოცილება დედის სიყვარულში,—მოჩვენებაა, რომელიც სახლს ოჯახადა ჰქმნის,—პატარა რუკაა (ატლასი), რომლის პატარა ბეჭებზედაც გადაჭიმულა ცოლ-ქმრობის ჭირისა და ლხინის ზღვა,—ბუნების მიერ დანიშნულს ვადაზედ მიღებული თამასუქია, რომლის გადაუხდელობაც შეუძლებელია,—კვირტია, ცხოვრების ხეზედ გაშლილი—გამომწვევია ქალში საუკეთესო თვისებისა—თავის უარის ყოფისა, ნაზი, წყნარი და უსარგებლო სულდგმულია, მაგრამ უამისოდ დედამიწაც შესწყვეტდა თავის ბრუნვას,—მოქალაქეა ყოველის ქვეყნისა, რომელმაც არც ერთი ენა-კი არ იცის,—ისეთი გამოგონებაა, რომელიც უძლიერესს ჰბადავს ხალხში,—პაწაწა არსებაა, რომელიც მით უფრო მეტს ზრუნვას ითხოვს, რაც უფრო პატარაა,—შეუსმენელი შუამავალია დედ-მამის შორის და მათ აღგზნებულ გულთა საერთო წერტილი,—პაწაწკინტელა არსებაა, რომლის მხიარული ღიმილი კეთილს კაცს ანგელოზს მოაგონებს,—ერთად-ერთი უნაკლულო არსებაა ქვეყნიერებაზედ, დედა-მისი კი ერთად-ერთი ბედნიერი პატრონია ამ საუნჯისა,—საუკეთესო მოხმარებაა ქალის სამუშაო ძალისა,—შესართავია სიყვარულის ნაკადულისა,—ისაა, რაც დედას ამატებინებს ზრუნვას, მამას უმსუბუქებს ჯიბეს და ფუნჩელი დარაჯია დამ-დამეობით მეზობელთათვის,—კლიტეა, რომელიც აღებს ყველას გულს, განურჩევლად წოდებისა, ქონებისა და ხალხოსნობისა,—ისაა, რაც სახლს ბედნიერებასა ჰმატებს, სიყვარულს—სიმტკიცეს, მოთმინებას—უსაზღვრობასა, ხელებს—მოქმედებასა, ფეხებს—სიგრძესა, დღეს ამოკლებს, ქისას ათხელებს, ტანთსაცმელს აძლებიებს, ნამუსს ფარდას აფარებს და აწმყოს გვინათებს.

ძვირფასი ლითონები. კაცობრიობა იმ აზრსაა შეჩვეული, რომ ოქრო ყველაზედ უფრო ძვირფასი ლითონიაო; მაგრამ ეს სიმართლეს მოკლებულია: არსებულ ლითონებში ბევრია ოქროზედ უფრო ძვირფასი.

ამ ჟამად მეცნიერება 57 სხვა-და-სხვა ლითონს ანგარიშობს; ამ რიცხვიდგან თითქმის სამი მეხუთედი „ლითონთა მეფე“—ოქროზედ უფრო ძვირია. ლითონთა შორის ოქროს მხოლოდ მე-34 ადგილი უჭირავს თავის ფასობით, ე. ი., 57 ლითონიდგან 33 ოქროზედ უძვირესია.

არიან ისეთი ლითონები, რომელნიც არამც თუ ცოტათი აღემატებიან ოქროს ღირებულობას, არამედ მასზე ათჯერ, ასჯერ და ათასჯერ უფრო ძვირადა ჰღირან. მაგ. თუ ოქროს ფასი ბერლინის ბირჟის 1902 წ. მაისის დადგენილებით ვიანგარიშოთ 2,80 მარკად 1 გრამი (5 მან. 50 კ. მისხალი), მაშინ ლითონი რადი ოქროზედ 4,285 ჯერ უფრო ძვირად ეღირება, რადგან ერთი გრამი რადისა 12,000 მარკად ფასობს.

რადის სიძვირე მის შესანიშნავ თვისებებზედაა დამოკიდებული. რადის არც გახურვება ეჭირვება, არც სხვა რაიმე ენერგიის მოქმედება. სრულებით სადა პირობებში საუცხოვოდ ლურჯ მომწვანო ფერად ანათებს.

გარდა ამისა რადის სხივები—რენტგენის სხივებისა არ იყოს, თავისუფლად გადის უმჭვირვალეს საგნებში, მხოლოდ ის უპირატესობა აქვს რენტგენის სხივებზედ, რომ ვერც ძვალი იკავებს, ვერც მიწა და ვერც ლითონი. მაგალითად, ტყვიის ფირფიტა, სისქით ¼ გოჯი—სრულებით თავისუფლად უშვებს ამ სხივებს, ასე რომ, ფირფიტის მეორე მხარეზედ დადგმულ ფოტოგრაფიულს აპარატზედ მშვენივრად მოქმედებს. ეს სხივები ჰაერს ელექტრონის ძალას აძლევს, კაცის და ყოველ ცხოველის ორგანიზმზედ ჰმოქმედებს, რისთვისაც მეცნიერება ბრწყინვალე მომავალს უქადის ამ ლითონს.

წერილი

რედაქციის მიმართ

გთხოვთ ამ ჩემს წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულს გაზეთში და მით ამაცილოთ თავიდგან ის მოჩმახულ-მოქორიკებული ამბავი, რომელიც „ივერიის“ მე-119 №-შია მოთავსებული და შეეხება კერძოდ მე.

ბ-ნი მოამბე, რომ მობეზრებულ-გატარანებულა პაპანაქება სიცხით, აუღია კალამი ხელში და „ივერიის“ მკითხველებს ს. ალიდგან ატყობინებს, სხვათა შორის, შემდეგს: „ს. ალში არსებობს სამკითხველო, მაგრამ შენობის უქონლობისა გამო, ადგილობრივ მღვდელს მაჭარაშვილს დაუმწყვდევია თავის ოთახში და ნეტავი ვიცოდეთ, თუ რა დააშავა დასამწყვდევი ამ სამკითხველომ?!“ სწორედ უცნაურია მოამბის ასეთი სიტყვები. ეტყობა მის ლაპარაკს, რომ შორიდგან მოუკრავს ყური, ს. ალში სამკითხველო არსებობსო და არ იცის-კი, როგორ და რა პირობით; თუ უნდა, რომ სიმართლე გაიგოს ბ-ნმა მოამბემ და საზოგადოებამაც, მოვახსენებ შემდეგს: ს. ალში, ქართველ-სომეხი, თითქმის 200 კომლამდეა და ამ რიცხვში სულ ცოტა მოიპოვებოდა, რომ კითხვა სცოდნოდა. მე მინდოდა გულით, რომ სამკითხველო დამეარსებინა, მაგრამ ვისთვის, რომ მკითხველი არავინ იყო და არც თანამგრძნობი ვინმე მყვანდა?! ამ დროს ს. ალში დაარსდა სამინისტრო სასწავლებელი და ჩემს სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა, რომ სკოლის მეოხებით მკითხველები გაჩნდებოდნენ და ამ მომავალ თაობას სამკითხველო მზად ექმნებოდა. მეც ვიშრომე და შევიძინე ნებართვაც და წიგნებიც; რადგანაც ხალხი არ თანამიგრძნობდა, რომ საკუთარი შენობა გაკეთებულიყო და არც მე მქონდა შეძლება, რომ საკუთრივ მე ამეშენებინა, ავდექი და დავუთმე დროებით ჩემს შენობაში ერთი ოთახი, სადაც ბავშვებიც და დიდებიც, ვინც-კი კითხვა იცოდა, დადიოდნენ და საქმეც რიგზედ მიდიოდა. რამდენისამე ხნის შემდეგ გამოჩნდნენ ცოტა თანამგრძნობნი, რომელთა შემწეობით დავიწყეთ საკუთარი შენობა და საუკეთესო ადგილსაც, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, სამინისტრო სკოლა გადაკეთდა ნორმალურ სკოლად და ქართული ენაც სამუდამოდ მოისპო, რის მიზეზითაც ისევე ისე დარჩა ჩვენი სამკითხველო, მკითხველიც ცოტა დარჩა და თანამგრძნობნიც უკან ჩამოდგნენ.

ამ ჟამად შენობის დათავებაც შეფერხდა, სამკითხველო-კი ისევე ჩემს შენობაში დავსტოვე და მსურველთ. ზოგს შინ მიაქვთ წიგნები და ზოგიც იქავ კითხულობს.

აბა, ახლა ვეკითხები ბ-ნს მოამბეს: ამას ჰქვიან დამწყვდევა? ან როგორ უნდა მოვქცეულიყავ? ამელო და გარედ გადამეყარა წიგნები?!

ს. ალის სამრევლოს მღ. ისიდორე მაჭარაშვილი.

მადლობის გამოცხადება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობა მადლობას უცხადებს ბ-ნ დიმიტრი არაყაშვილს გურულ-მეგრულის ჩონგურისა და ორის იმერულის სალამურისა და ბ-ნ ნიკოლოზ ჯავახიშვილს ერთის ქართლურის სალამურის შემოწირვისათვის და ამასთანავე აცხადებს, რომ ამ გვარნივე შემოწირულებანი დიდის მადლობით იქნებიან მიღებულნი და დაცულნი საზოგადოების მუზეუმში.

შეცდომის გასწორება:

„ივერიის“ № 128 ნომერში, მეოთხე გვერდზე, ყვირილიდგან „წერილი რედაქციის მიმართ“ ბოლოს ხელმოწერილია „რაჟდენ ჩხაიძე“, უნდა იყოს „ვარდენ ჩხაიძე“.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

21 ივნისი

პეტერბურგი. დღეს შორეულ აღმოსავლეთს მიემგზავრება დამოჯის გადასახადთა დირექტორი ბელიუსტინი. შავს ჭირთან საბრძოლველად უმაღლესად დამტკიცებულმა კომისიამ საშიშოდა სცნო სტამბოლი, ხოლო ტელინი, მანჯუსი და შანჰაი ხოლერის მხრივ.

ნიუ.იორკი. მიწათ-მოქმედების განყოფილების მოხსენებისამებრ ბამბის პლანტაციების მდგომარეობა განისაზღვრება 84,7% წინაალმდეგ წლიურის საშუალო რიცხვისა.

იერუსალიმი. გერმანელ და იტალიელ ფრანცისკანთა ბერები, რომელთაც თავს დაესხნენ 1901 წ. 1 ნოემბერს მართლ-მადიდებელ ბერძენთა ბერები და ერის კაცნი, მიუხედავად იმისა, რომ თვით ალძრეს შუამდგომლობა დამნაშავეთა დასასჯელად, გაამტყუნა იერუსალიმის სასამართლომ. გერმანიის საელჩოს შუამდგომლობით, თანახმად პორტის ბრძანებისა—გააუქმეს გერმანელ ფრანცისკანთა საწინაალმდეგო დადგენილება.

იოკოჰამა. დიდის მთავრის კირილე ვლადიმერის ძის ტოკიოს მიბრძანება ადგილობრივმა გაზეთებმა ისე მიიჩნიეს, როგორც რუსეთისა და მოკავშირე ინგლის-იაპონიის პოლიტიკის გაერთბაშების მაჩვენებლად. სამთავეს აზრი—ალებ-მიცემობის გაძლიერებაა. დიდს მთავარს შესაფერისი პატივი სცეს.

ვარშავა. რვა ადგილობრივმა სამეურნეო საზოგადოებამ მოლაპარაკება გამართა ამერიკის ქარხნებთან, რათა მათ მიენიჭოს ამერიკის ნაწარმოებთა წარმომადგენლობა. მიზანი ასეთის მოლაპარაკებისა ის გახლავთ, რომ სრულებით გააძეონ გერმანიის საზოგადოებათა წარმომადგენელნი.

ჰელსინგფორსი. გაიხსნა მკურნალთა ჩრდილოეთ.კონგრესის კრება. ჯერ-ჯერობით თავი მოიყარა შვეციიდგან—13, ნორვეგიიდგან—8, დანიიდგან—5 და მრავალმა მკურნალმა ფინლიანდიის მხრიდგან.

სევასტოპოლი. იმის გამო, რომ სტამბოლი შავის ჭირის მხრივ საიმედოდ ვერაა ცნობილი, გემები პირდაპირ ფეოდოსიის კარანტინისკენ მიემართებიან.

ლონდონი. მეფემ ღამე კარგად გაატარა. ლოგინში უფრო თავისუფლად მოძრაობს. მადა ემატება.

22 თიბათვე.

პეტერბურგი. თიბათვის 21 ინგლისიდგან დაბრუნდა ხელმწიფე მემკვიდრე იახტა „ზარნიცაზედ“. თიბათვის 21 ცარსკოსელსკის სასახლის მოედანზე ხელმწიფე იმპერატორისა და ხელმწიფე იმპერატრიცის თანადასწრებით დაათვალიერეს მათის უდიდებულესობის კისირთა პოლკი. ხელმწიფე მემკვიდრე ჩარიცხულ იქმნა ამავე პოლკში.

პერმი. ინჟენერ დოქსის, გოლემბიოვსკისა და საველოვის მეთაურობით შეუდგნენ იმ მიმართულების გამოკვლევას, რომელიც უახლობელსს გზას წარმოადგენს ვიატკის უბნიდგან ციმბირის მთავარ ლიანდაგამდე.

ბაქო. საბუნჩაში დაიწვა ნობელის ერთი შადრევანი.

პარიჟი. სენატმა 176 ხმით წინაალმდეგ 114-სა მიიღო კანონ-პროექტი 2 წლის სამხახურისა. ამ გადაწყვეტილებით სამხედრო სამსახურის ბეგარა ყველასათვის ერთია, გამოკლება არავისათვის არ არსებობს, გარდა იმ პირთა, ვინც ფიზიკურად სუსტი აღმოჩნდება. სამხედრო ბეგრის სრული ვადა—25 წელია.—დეპუტატთა პალატაში დენიზ კოშენმა პროტესტი განაცხადა წინაალმდეგ კონგრეგაციების 135 სკოლის დახურვისა. კომბმა უპასუხა, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით ყოველი წინაალმდეგობა უნდა დაითრგუნვოს რევოლიუციის სულის კვეთება—აღფრთოვანდეს და მოქალაქის გამარჯვება—უზრუნველ-ყოფილ იყვესო. ამ დეკრეტს სხვებიც მოჰყვება პალატამ 333 ხმის უმეტესობის წინაალმდეგ 210 მოიწონა მთავრობის განკარგულება და შეუდგა მიმდინარე საქმეების განხილვას:

ბერლინი. სტამბოლიდგან ატყობინებენ „ფრანკფურტის გაზეთს“—რომ ბოლგარიის სადიპლომატო სააგენტოს გადაეცა ნოტაო, სერრასში მყოფ ბულგარიის სავაჭრო სააგენტოს გერბი აღდგენილ იქმნას. თუ ამაზედ უარი მიიღო, მას ბრძანება აქვს პორტასთან ყოველივე დამოკიდებულება შესწყვიტოს და წავიდეს.

სოფია. აქ მოვიდნენ 24 მოწაფე ყაზანის გიმნაზიისა მასწავლებლითურთ. სადგურზე მათ მიეგებნენ ადგილობრივ გიმნაზიის მოწაფენი მასწავლებელნი, აგრეთვე სტუდენტები. მოწაფეები დაბინავდნენ ამხანაგ ბოლგართა სადგომებში,

პეტერბურგი. „საეკლესიო უწყებებში“ დაბეჭდილია უქვეშევრდომილესი მოხსენება, რომელშიაც უწმიდესი სინოდი მათ უდიდებულესობას ფერხთ უფენს მადლობის გულითადს გრძნობათა სამღვდელოებისადმი უმაღლეს წყალობისათვის, რომელიც გამოიხატა ღვთის მსახურთა და საეპარქიო მეფსალმუნეთა წოდებისათვის დამტკიცებულს საპენსიო დებულებაშიდ. ამ მოხსენებაზედ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და დააწერა: „დარწმუნებული ვარ, რომ საეპარქიო სამღვდელოება გაორკეცებულის გულმოდგინეობით განაგრძობს ქრისტეს მსახურებას.

სტამბოლი. პეტალიში დარჩენილ ბულგარიის ავაზკთა ბრბოს ნაწილი შემუსვრილ იქმნა.

სუეცი. გეჯასიდგან საშიში ცნობები მოვიდა. ვალი აჰმედ-აშიბ ფაშა გაიქცა. მედინაში პირველად აღკრძალულ იქმნა მაჰმადის სალოცავთან მიმოსვლა, რამაც დიდი მღელვარება გამოიწვია.—სტამბოლიდგან მიიღეს ბრძანება, რომ სალოცავთან მიმოსვლა ხელახლად აღდგენილ იქმნას. მიზეზი ამ გაგკარგულებისა ჯერ გამოურკვეველია.

პარიჟი. დიუბაილი დაინიშნა საფრანგეთის ელჩად პეკინში.

პეტერბურგის ბირჟა, 21 ივნისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,10
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97 გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	464½ წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	354½ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	287 მყიდ.
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	82¼ გაყ.
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	89⅝ გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	176 წვ. გაყ.

ყოველ-დღური საჭირო ცნობანი:

რკინისგზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბ ა ქ ო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბ ა თ უ მ ი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
ამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბ ო რ ჯ ო მ ი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე).	6 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ.
სამგზავრო „ „	9 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

ტფილისის ქალაქის მმართველობა

ამით იუწყება, რომ საჭიროა მისთვის სახლი ბელინსკის სახელობაზედ კუკიის სკოლისათვის, მეცხრე და მეათე პოლიციის უჩასტკაში, ეზოთი, სამზარეულოთი და სარაიით შემისათვის. სახლი საჭიროა არა ნაკლებ 8 ოთახიანი, რომელთაგან სამი ოთახი უნდა იყოს ნათელი და დიდი, 9 არშინი სიგრძე და 10½ სიგანე, ან-და 13 არშინი და 9 გოჯი სიგრძე და 7½ სიგანე. სიმაღლე ოთახებს უნდა ჰქონდეს 4 არშინი და 14 გოჯი.

(3—6.—1)



GRAND PRIX

PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К-о

„Порфюмерія Рояль-Ралле“

ნავთის-მრეწველთა ამხანაგობა

„შხეფა“

აცხადებს ბ-ნთ პაის პატრონთა საყურადღებოდ, რომ მან დანიშნა 5%-იან შემოტანის ვადად, ესე იგი 5 მანეთისა თითოულ პაიზედ, 19-დგან 28 ივნისამდე და 28 ივნისიდგან 8 ივნისამდე ჯარიმითურთ თანახმად საამხანაგო ხელ-შეკრულობისა მე-7 §-ისა.

(5—364—4)

ტფილისში, ვარანცოვის ქუჩის თავში, ძველ აბანოებთან გაიმართა ევროპიულად მოწყობილი

თბილი გოგირდის აბანო

„ფ ა ნ ტ ა ზ ი ა“

თავად სუმბათაშვილებისა, რომელშიაც ცალკე ნომრებიც არის და საერთო საბანაოც (კაცებისათვის). როგორც ნომრებში, ისე საერთო აბანოში აუზები სულ მარმარილოსია, იატაკი დაგებულია ტომეტის ფილაქნით და კედლები და თალები-კი სულ საზღვარ-გარეთის ჩინურით (კაფელით). საუკეთესო სუფთაობა, წყალი ბუნებით გოგირდისაა. წყლის ს[illegible] 37_{50} ც. ფასი მცირეა. კონკ[illegible]ქვე დგება.

იჯარადარი ა. თოიძე (სანდრო).

ტელეფონი № 555 (წლ.—6.)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ად დაბეჭდილი წიგნი:

ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოლელისა ფასი 10 კ.

და

მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

წერაკითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

საყმაწვილო ამბები ეკ. გაბაშვილმა	„ 30
საქართ. ისტორია ბროსესი I-II ნაწ.	1 40
Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ	„ 60
სალიტერატურო ქართული. სიტყვან ხუნდაძის გამოკვლევა	1 მ. „
მოთხრობანი დ. კლდიაშვილისა.	„ 30
ყოველის მხრიდგან. არბოლელისა.	„ 10
ამოდის ნათელა, ვაჟა-ფშაველასი	,, 15
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა	„ 50
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა	,, 15
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი	,, 30
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა	,, 5
აბო ტფილელი, ე. კ.	,, 30
Або Тифлисскій, Е. К.	,, 5
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ	,, 60
გიორგი და მიხეილი	,, 10
რ. აბაშიძისა	,, 60
დ. გაბრუაშვილისა	,, 25
მელის წიგნი, კ. თაყაიშვილისა	,, 40
მუშათა კითხვა	15 ,,
მოგზაურობა იერუსალიმში, დეკ. პ. ყოჩოშვილისა	1 ,,
Царица Тамара, М. Джанашвили	,, 50
მოძღვრებანი, ი. გამრეკელისა.	,, 40
Древній Анчисхатскій соборъ. Карбеловъ	,, 20
ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანისა	,, 40
შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძისა	,, 30
ჩანგი, ვ. აბაშიძისა	1 ,
ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძისა.	
კოპერნიკიდან დარვინამდე	,, 10
განდეგილი, მ. ღელაშვილისა	,, 1
Краткій очеркъ исторіи Грузинской церкви, Е. К.	1 р. 50 к.
უკვდავთა ღაღადებანი, მ. ჯანაშვილისა	,, 1
მეცნიერებისთვის წამებულნი	1 ,,
Мцхетъ и его Соборъ, А. Натроева	1 5
ნელო და პატრაში, თრ. ელ. წერეთლისა	,, 1
ცისარტყელა, ავ. ცაგარელისა	,, 3
ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილისა	1
Характеристики и воспоминанія Г. Туманова	,, 5
დედა, ანდერსენისა	,,
Краткій очеркъ Грузинской народной музыки, И. Каргаретели	30
კუბიკები ქართულის ანბანისა	1 მ. 2
ლექსები განდეგილისა	,, 5
ევდოშვილისა	,, 5
დამონებულნი, თარ. ო. სახოკიასი	1 მ. 2
დაუჯდომელი წმ. ნინოსი	,, 1
Двѣ святыни въ Кахетіи, Е. К.	,, 1
Давидъ Гареджели, Е. К.	,, 1
ეტიუდები, თ. ხუსკივაძისა	,,
ლენე, მოთხრობა	,,
Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили	,,

Пр[illegible] (дзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი გამომცემელი ი. ჭავჭავაძე